ილიას სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ სამყურაშვილი

ჯგუფური მუშაობის ეფექტურობა სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე

სამაგისტრო ნაშრომი

წარმოდგენილია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში

ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი სოფიო გორგოძე

თბილისი 2011

შინაარსი

1. მოკლე მიმოხილვა _____ 3

2. შესავალი_____4

3. ლიტერატურის მიმოხილვა_____6

4. გაკვეთილების სცენარი

4.1 გაკვეთილის სცენარი №1_____14

4.2 გაკვეთილის სცენარი №2_____18

4.3 გაკვეთილის სცენარი №3_____21

4.4 გაკვეთილის სცენარი №4_____25

5. კითხვარები

5.1 ცოდნის შესამოწმებელი კითხვარი მე–3 კლასში_____30

5.2 ცოდნის შესამოწმებელი კითხვარი მე–7 კლასში _____31

5.3 გაკვეთილის შესამოწმენბელი კითხვარი მე–3, მე–7 კლასში_____33

6. კითხვარების ანალიზი _____35

7. დასკვნები _____51

8. გამოყენებული ლიტერატურა_____55

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ჯგუფური მუშაობის ეფექტურობა სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე. პრაქტიკული კვლევის მეთოდების საშუალებით, ქალაქ ჭიათურის პირველი საჯარო სკოლის მე–3_ა, მე–7_ბ და არასახელმწიფო, მრავალრპოფილიანი სკოლა–ლიცეუმის, „ნილემი“–ს (სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი) მე–3_ბ, მე–7_ა კლასებს, ჩაუტარდათ გაკვე–თილები, როგორც ტრადიციული, ასევე ჯგუფური მეთოდით.

გაკვეთილის გაგება–გააზრება და გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდით მოსწავლეთა კმაყოფილება შეფასდა ორი სახის სპეციალური კითხვარით. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვიტანე დასკვნა, რომ ჯგუფური მუშაობის მეთოდი პედაგოგმა უნდა გამოიყენოს საჭიროების შესაბამისად საგაკვეთილო მასალის გათვალისწინებით სწავლების ორივე საფეხურზე, განსაკუთრებით კი მეორე საფეხურზე.